

აპრილი, 2021

# სესიის გამკვლევები

უდგენილია ფიფქ ინ ნიღის  
და ჯეოველ რისერჩის მირ



ავტორები:

მიხეილ სვანიძე

გიორგი ანთაძე

# სესსის გამკვლევი

უდგენილია ფიფლ ინ ნიდის  
და ჯეოველ რისერჩის მიერ

ავტორები:

მიხეილ სვანიძე

გიორგი ანთაძე

აპრილი, 2021



**CZECH REPUBLIC**  
DEVELOPMENT COOPERATION



**GeoWel**  
GOAL-ORIENTED RESEARCH

გზამკვლევი მომზადებულია პროექტის „ვალების კრიზისის დაძლევა საქართველოში ჩეხური ინოვაციების საშუალებით“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ფიფლ ინ ნიდის საქართველოს მისია ჯეოველ რისერჩთან პარტნიორობით. პროექტი დაფინანსებულია გაეროს განვითარების პროგრამის – UNDP გამოწვევის ფონდისა და ჩეხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ.

## რა უნდა ვიცოდეთ:

- სესხის აღების წინ
- სესხის დაფარვისას
- ბანკთან, მიკროსაფინანსოებთან, კერძო გამსესხებელთან (მევახშესთან) ურთიერთობისას
- სესხთან დაკავშირებულ სასამართლო პროცესებზე
- სასამართლო პროცესის მსვლელობისას
- სასამართლო პროცესის შედეგზე
- სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შემთხვევაში



- რა უნდა გავაკეთოთ
- რაზე უნდა დავფიქრდეთ
- რას უნდა მივამცნიოთ ყურადღება
- რა უნდა ავირიდოთ თავიდან
- ვინ დადგება ჩვენ გვერდით
- ვის უნდა მოვერიდოთ

# რა არის სესხი? როდის, როგორ და ვისგან ვისესხოთ?

სესხის აღება მართებულია:

- ➔ საკუთარი თავის განვითარებისათვის
- ➔ საკუთარი საცხოვრებლის დასაფინანსებლად
- ➔ ზიზნის დასაწყებად
- ➔ მოკლევადიანი პრობლემების გადასაჭრელად
- ➔ მოულოდნელი ხარჯების შემთხვევაში

ჯობს, არ ვისესხოთ, როცა საქმე ეხება რაღაცის შექმნას – ახალი მობილურის, ძვირიანი ტანსაცმლის, ძვირფასი ნივთების, საჩუქრების, სადღესასწაულო ნივთების შექმნისას, სამოგზაუროდ წასასვლელად, აზარტული თამაშისთვის:



ახალი მობილური



ძვირიანი საჩუქრები



ძვირფასი ნივთები



ძვირიანი ტანსაცმელი

ახალი ნივთის ან საინვესციო გამოთვლების მიღებისგან გამომწვევად სინაპრს, ხშირად, სესხის შესახებ ნაკვირვლოვან და უზრკო რიდი ხარჯი და დაკვირვული ქონება გადაწონის

ძველი ვალების გასასტუმრებლად ახალი, უფრო მაღალპროცენტიანი სესხის აღება კარგი სტრატეგია **არ არის**.

ამ შემთხვევაში უმჯობესია **სესხების გაერთიანება**. ასეთ სტრატეგიას ის პლუსიც აქვს, რომ ყოველთვის სხვადასხვა გამსესხებელთან რამდენიმე სხვადასხვა გადახდის ნაცვლად, სესხის ერთხელ დაფარვა მოგიწევთ. თუ ამას ვერ ახერხებთ, ჯობს, არსებულ მსესხებელთან/მსესხებელთან აღიაროთ არსებული სესხი, და შეუთანხმდეთ მათ გადავადებაზე ან **რესტრუქტურისაციაზე**.

არ აილოთ სესხი სხვის მაგივრად, თუნდაც


ეს იყოს ახლო ნათესავი ან კარგი მეგობარი. თქვენ არ იცით, როგორ მოიქცევა სხვა ადამიანი, იურიდიულად კი ყველაფერზე პასუხს თქვენ (სასესხო ხელშეკრულებაზე ხელის მომწერი პირი) აგებთ. და საპირისპიროდ – არ აილოთ სესხი სხვისი სახელის გამოყენებით – თუნდაც ეს იყოს ახლო ნათესავი ან კარგი მეგობარი. ამ შემთხვევაში შეიძლება სხვა ადამიანი გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენოთ.

არ აილოთ სესხი, თუ არ გაქვთ შემოსავლის სტაბილური წყარო (ხელფასი, უცხოეთიდან გადმორიცხვა, ბინის გაქირავება და სხვ.)

**ვინ გასცემს სესხს?**

**მცირე და საშუალო სესხის გაცემა შეუძლია სამი ტიპის ფინანსურ ინსტიტუტს:**

- ➔ ბანკს (ასეთი საქართველოში დღესდღეობით 15-ია)
- ➔ მიკროსაფინანსო ორგანიზაციას
- ➔ სესხის გამცემ სუბიექტს:
  - ლომბარდი
  - კერძო გამსესხებელი – მევახშე



სამივე მათგანის სია გამოქვეყნებულია ეროვნული ბანკის ვებგვერდზე. მათ გარდა, აქა-იქ არსებობენ გაუფორმებელი კერძო გამსესხებლები. **მოერიდეთ მათ.**

## როგორი სესხები არსებობს?

### სამომხმარებლო სესხი

სამომხმარებლო სესხი არის სესხი, რომელსაც იღებთ პირადი მოხმარებისათვის ან გარკვეული საქონლის და/ან მომსახურების შესაძენად. სამომხმარებლო სესხი შედარებით მოკლევადიანი და ძვირია (მაღალპროცენტიანია).

### სესხი საკრედიტო ბარათზე (ბარათი)

საკრედიტო ბარათი ბანკის ან მიკროსაფინანსო

ორგანიზაციის მიერ გამოშვებული პლასტიკური საგადახდო ბარათია. ამ შემთხვევაში, კრედიტით ყიდულობთ საქონელს ან ანაღებთ ფულს. გაითვალისწინეთ, რომ საკრედიტო ბარათით ბანკომატიდან თანხის გამოტანაზე მაღალია განაღების საკომისიო – უფრო ხელსაყრელია ეს ბარათი მაღაზიაში/სავაჭრო ობიექტში ან ინტერნეტით საქონლის ან მომსახურების შესაძენად გამოიყენოთ (ტერმინალით გადახდა).

**ოვერდრაფტი**

როცა არ გყოფნით ხელფასი, ბანკი გთავაზობთ ოვერდრაფტს – ანუ წინასწარ გიხდით ხელფასს. როგორც წესი, ოვერდრაფტი მაქსიმუმ 1-თვიანია.

**სალომბარდო სესხი**

როცა გჭირდებათ თანხა, შეგიძლიათ „ჩადოთ“ ლომბარდში გარკვეული ძვირფასი ნივთი (ოქრო, ძვირფასი თვლები, ტექნიკა), რის სანაცვლოდაც ისესხებთ გარკვეულ თანხას. როგორც წესი, სალომბარდო სესხები ყველაზე ძვირია (მაღალპროცენტიანია).

**ავტო – სესხი**

სამომხმარებლო სესხის სახე, რომელსაც კონკრეტული მიზნობრიობა გააჩნია, ანუ დაკონკრეტებულია, რომ გნებავთ ავტომანქანის შეძენა.

**იპოთეკური სესხი**

იპოთეკური სესხი გამოიყენება უძრავი ქონების – შესაძენად, ასაშენებლად, ან გასარემონტებლად. იპოთეკური სესხი, როგორც წესი, უზრუნველყოფილია უძრავი ქონებით, ანუ, მომხმარებლის მიერ

აღებული სასესხო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, გამსესხებელს უფლება აქვს გაყიდოს ან დაისაკუთროს უზრუნველყოფაში არსებული უძრავი ქონება. იპოთეკური სესხი ხანგრძლივია და შედარებით დაბალპროცენტიანი – რადგან გამსესხებლისთვის რისკი ნაკლებია.

**განვადება**

განვადებაც სამომხმარებლო ტიპის სესხია, რომელიც სავაჭრო ან სერვის კომპანიაში კონკრეტული საქონლის ან მომსახურების შესაძენად გაცივება. განვადების გაცივების პროცედურა, ჩვეულებრივ, სხვა სესხებთან შედარებით სწრაფია, უშუალოდ სავაჭრო თუ მომსახურების გამწევ ობიექტშივე ხორციელდება, და როგორც წესი, უფრო ძვირია, ვიდრე ჩვეულებრივი სამომხმარებლო სესხი.

**სესხი კერძო გამსესხებელთან**

სესხის აღება შეიძლება კერძო გამსესხებელთანაც (მევახშესთან). ამ შემთხვევაში, სესხი, ხშირად, უზრუნველყოფილია უძრავი ქონებით და აქვს მაღალი პროცენტი.

**სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია**

➔ უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხი (ე.წ. ბინის ჩადება, იპოთეკა), როგორც წესი, უფრო დაბალპროცენტიანია, რადგან გამსესხებლისათვის რისკი ნაკლებია. მაგრამ, აქ მსესხებელია საფრთხის წინაშე – თუ სესხს ვერ გადავიხდით, ბანკს (მიკროსაფინანსოს, მევახშეს) აქვს უფლება, გაყიდოს ჩვენი უძრავი ქონება სესხის გადასახდელად. ხშირად, ასეთ შემთხვევაში, უძრავი ქონება ბევრად უფრო იაფად იყიდება, ვიდრე მათი რეალური საბაზრო ფასია.

- **მიაქციეთ ყურადღება! თუ თქვენ გაქვთ სესხი და მის დაბრუნებას ვერ ახერხებთ, კრედიტორს შეეძლება მისი ამოღება თქვენ საკუთრებაში არსებული ქონებიდან, მიუხედავად იმისა, გქონდათ თუ არა ქონება დატვირთული იპოთეკასა თუ გირავნობაში. ამასთან, კონკრეტული ქონებაზე მიბმული სესხის გამცემი უპირატესად იკმაყოფილებს მოთხოვნას, სხვა არაუზრუნველყოფილ კრედიტორებთან შედარებით.**

## თანამსესხებლობა და სოლიდარული თავდებობა

სესხის აღებისას, შესაძლოა ისარგებლოთ **სოლიდარული თავდებობის**, ან **თანამსესხებლობის** სქემით.

- ➔ **თანამსესხებლობის** დროს, სესხის ხელშეკრულებით შეიძლება თანამსესხებლად განისაზღვროს ორი ან მეტი პირი. ამ შემთხვევაში, თანამსესხებლებს წარმოექმნებათ უფლება, შეასრულონ ვალდებულება.
  - თანხის გამსესხებელს შეუძლია თავისი სურვილისამებრ ვალდებულების შესრულება მოსთხოვოს ნებისმიერ მოვალეს როგორც მთლიანად, ასევე ნაწილობრივ.
  - ერთ-ერთი მოვალის მიერ ვალდებულების მთლიანად შესრულება ათავისუფლებს შესრულებისაგან დანარჩენ მოვალეებს. ამ შემთხვევაში, მოვალეს, რომელმაც ამგვარი ვალდებულება შეასრულა, აქვს უკუმოთხოვნის უფლება დანარჩენ მოვალეთა მიმართ ნილთა თანაბრობის კვალაობაზე.
  - ✎ მაგალითად, როცა და-ძმა ისესხებს 10 000 ლარს, როგორც თანამსესხებლები, და შემდეგ თანხას მთლიანად დაფარავს ძმა ინდივიდუალურად, მას (ძმას) ექნება უფლება, თანხის ნახევარი თავის დას მოსთხოვოს.
  - როგორც წესი, სესხის აღებისას, ბანკები თანამსესხებლად მხოლოდ ახლო ნათესავებს (დედ-მამა, და-ძმა, მეუღლეები) აღიარებენ, ხოლმე.
- ➔ **თავდებობა** ძალიან გავრცელებულია მცირე და საშუალო მოცულობის სესხის ხელშეკრულების დადებისას: როცა ძირითად

მსესხებელს არ აქვს შემოსავლის დადასტურების საშუალება, ამ შემთხვევაში საქმეში შემოდის თავდები.

- ➔ თავდებობის ნამდვილობისათვის საჭიროა თავდების წერილობითი განცხადება და თვით თავდებობის დოკუმენტში (ხელშეკრულებაში) და თავდების პასუხისმგებლობის რაოდენობრივად განსაზღვრული მაქსიმალური თანხის მითითება, თავდები პასუხს აცხადებს მხოლოდ თავდებობის დოკუმენტში მითითებული ზღვრული თანხის ოდენობამდე.
- ➔ თავდებს შეუძლია უარი თქვას კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, ვიდრე კრედიტორი არ შეეცდება ძირითადი მოვალის მიმართ იძულებით აღსრულებას.
- ➔ რეალურად, ყველაზე ხშირად ფორმდება **სოლიდარული თავდებობა**, რა დროსაც გამსესხებელს შეუძლია თავდებს წაუყენოს მოთხოვნა, თუ ძირითადმა მოვალემ გადააცილა გადახდის ვადას და უშედეგოდ იქნა გაფრთხილებული (მას დაურეკეს ან საფოსტო შეტყობინებით გააფრთხილეს ვალის გადახდის თარიღის შესახებ, მან კი ვალი არ დაფარა).
- ➔ თუ ძირითადმა მოვალემ გადააცილა გადახდის ვადას, კრედიტორმა უნდა აცნობოს ამის შესახებ თავდებს. თავდების მოთხოვნით, კრედიტორმა ნებისმიერ დროს უნდა მიაწოდოს მას ცნობები ძირითადი ვალის მდგომარეობის შესახებ.

- ➔ თავდებს შეუძლია წამოაყენოს ძირითადი მოვალის კუთვნილი შესაგებლები. მათ შორის, შეუძლია მიუთითოს შეუსაბამოდ დიდ პირგასამტეხლოზე, პროცენტზე, ხანდაზმულობაზე და ა.შ – ნებისმიერი ის არგუმენტი, რაც შეიძლება მსესხებელს გააჩნდეს გამსესხებლის სარჩელის წინააღმდეგ.
- ➔ თუ თავდები დააკმაყოფილებს გამსესხებლის მოთხოვნას, მასზე გადადის კრედიტორის მოთხოვნა ძირითადი მოვალის მიმართ – ანუ, პრაქტიკულად, თავდები დგება გამ-

სესხებლის როლში და მას შეუძლია, მოსთხოვოს თანხის დაფარვა ძირითად მსესხებელს.

- ➔ ხშირად ხდება, რომ მსესხებელი ვერ ახერხებს ვალის გადახდას და ამ ვალდებულების შესრულება უნევს თავდებს. ამ შემთხვევაში, თავდებს აქვს უფლება, რომ ვალდებულების შესრულების შემდეგ, თანხა ძირითად მოვალეს მოსთხოვოს. პრაქტიკაში, მსგავს შემთხვევებში, თავდებები თანხის ამოღებას ძალიან იშვიათად ახერხებენ.

**იცოდეთ, რომ**

**სოლიდარული თავდაპოვისას, ხელშეკრულებიდან გამომდინარე, საბანკო დანენებულებები სარჩელში მოვასუხედ უთითებენ როგორც უშუალოდ მსესხებელს, ასევე, თავდებსაც. ეს იმას ნიშნავს, რომ სასამართლო გადაწყვეტილება გამოიცემა როგორც მსესხებლის, ისე თავდების წინააღმდეგ. ქონების დაყადალებისა და აუქციონზე რეალიზაციის საფრთხეც, შესაბამისად, თანაბრად ეხება როგორც მსესხებელს, ისე თავდებს.**



**გაგალითად, რომა თქვენ სოლიდარული თავდაპოვით ისესხებთ 1000 ლარს, რომელსაც ვერ აბრუნებთ, გამსესხებელს შეაქვს სარჩელი როგორც ძირითად მსესხებელზე, ასევე თავდებ პირზე.**



სასამართლომ, შეიძლება, დააყადალოს როგორც ძირითადი მსესხებლის, ისე თავდების ქონება. თავდებმა უნდა იცოდეს, თავდებად ჩადგომის დროს იგი პასუხს აგებს თავისი უძრავი და მოძრავი ქონებით.



## სესხის საფასური (პროცენტი)

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის წლიური საპროცენტო განაკვეთი ყველა აუცილებელი ფინანსური ხარჯის გათვალისწინებით. ყოველთვის მიაქციეთ ყურადღება **წლიურ ეფექტურ პროცენტს!** და არა დარიცხულ პროცენტს, ნომინალურ პროცენტს და სხვა ტერმინებს. ყოველთვის დააზუსტეთ გამსესხებელთან, რა არის **წლიური ეფექტური პროცენტი.**



## ასევე მიაქციეთ ყურადღება:

- ➔ რეკლამაში ან ვებსაიტზე ასახული პროცენტი ხშირად არ ემთხვევა რეალურს (ეფექტურ პროცენტს)
- ➔ როცა საიტზე ან რეკლამაში წერია „სესხი გარკვეული პროცენტიდან“ (როცა გამოიყენება მარკეტინგული ტერმინი „**პროცენტიდან**“), ეს ნიშნავს, რომ ეფექტური პროცენტი, ძირითადად, ბევრად მეტია ხოლმე
- ➔ რეკლამაში დაწერილი მცირე პროცენტი მარტო მაშინ მოქმედებს, როცა თქვენ მსესხებლის შემოთავაზებულ გარკვეულ პირობას აკმაყოფილებთ (მაგალითად, სესხს იღებთ გარკვეული ვადით, ან შედარებით დიდი თანხის სესხს)
- ➔ სესხის ფასი შეიძლება გაიზარდოს მცირე დარღვევისას (მაგალითად, ერთი დღით დაგავიანდათ მისი შეტანა) – თუ ეს ხელშეკრულებით ასეა შეთანხმებული და ხელმოწერილი.
- ➔ თუ რეკლამაში უფასო სესხს გთავაზობენ, კარგად გაარკვიეთ, სად არის დამატებითი, დაფარული ხარჯი – გამსესხებლის ინტერესში უფასო სესხის გაცემა ნამდვილად არ არის
- ➔ ზოგჯერ, სესხის პროცენტს უთითებენ თვიური პროცენტის სახით (და არა წლიურის) – დააკვირდით! ყოველთვის, მიაქციეთ ყურადღება წლიურ პროცენტს.
- ➔ ხშირად გაიგებთ რეკლამას „0%-იანი განვადება“ სხვადასხვა ნივთის შეძენისას (მაცივრის, ტელევიზორის, მობილურის და ა.შ.) **ნოლპროცენტიანი განვადება არ არსებობს.** განვადების ეფექტური პროცენტი უმეტესად უფრო მეტია, ვიდრე სამომხმარებლო სესხის პროცენტი. **0% განვადება სარეკლამო ხრიკია და ის არ არსებობს.**

## ეფექტური და ნომინალური საპროცენტო განაკვეთი

**ეფექტური პროცენტი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი)** – არის წლიური საპროცენტო

განაკვეთი, ყველა აუცილებელი ფინანსური ხარჯი და ამ ხარჯების განევის პერიოდი;

ყველა ხარჯი შეიძლება იყოს – ნომინალური საპროცენტო ხარჯი (უბრალოდ – სესხზე დარიცხული პროცენტი) სესხის დამტკიცების საკომისიო, სესხის გატანის საკომისიო, საორგანიზაციო ხარჯი, სესხის დაზღვევის ხარჯი, კრედიტის გაცემის ადმინისტრაციული სახდელი და ყველა სხვა მსგავსი ხარჯი).

**ყოველთვის ყურადღება მიაქციეთ ეფექტურ პროცენტს (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) და არა – სხვა ტიპის ინფორმაციას ან ტერმინს პროცენტის შესახებ (ნომინალური პროცენტი, უბრალოდ პროცენტი, დარიცხული პროცენტი თუ სხვა ტერმინი)**

ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები ვალდებული არიან, გაცნობონ ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, დამრგვალებული, სულ მცირე, მეათედამდე, ხელშეკრულების თავსართში. ყურადღება მიაქციეთ მას.

**გამონაკლისი: ინდექსირებული სესხი**

**ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთი** არის საპროცენტო განაკვეთი, რომელიც გარკვეული წესით მიბმულია რაიმე **საჯარო ინდექსზე** (ინფლაცია, ბანკის რეფინანსირების განაკვეთი თუ სხვ.) და რომლის ცვლილებაც აღნიშნული ინდექსის ცვლილებითაა გამონვეული. **განსაკუთრებული სიფრთხილით მოეკიდეთ ამ ტიპის სესხს**, რადგან ასეთ შემთხვევაში საპროცენტო განაკვეთი შეიძლება გარეშე მოვლენების გამო, საგრძნობლად გაიზარდოს სესხის მიმდინარეობისას.

## რას უნდა დავაკვირდეთ სასესხო კონტრაქტის (ხელშეკრულების) დადებისას

სასესხო ხელშეკრულება (კონტრაქტი), რომელსაც ბანკი (მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, კერძო გამსესხებელი/ლომბარდი) გთავაზობთ, შეთანხმების საგანია თქვენსა და მათ შორის.

**ყოველთვის ევაჭრეთ მათ წინასწარ!** – მოითხოვეთ უფრო დაბალი ეფექტური პროცენტი, დავის გადაწყვეტის თქვენთვის ხელსაყრელი მექანიზმი, უფრო ხანგრძლივი ვადა და ა.შ. (დეტალურად ქვემოთ). **ყოველთვის იცოდეთ, რომ ის, რასაც ბანკი (მიკროსაფინანსო, კერძო მსესხებელი) გთავაზობთ, შეიძლება შეიცვალოს.** მათ მიერ შემოთავაზებული კონტრაქტი არ არის საბოლოო. თუმცა ამ ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, თქვენი ხელები შეკრულია და ვალდებული ხართ, იქ ჩანერილი პირობები შეასრულოთ. **ამიტომ, ყოველთვის ზედმინვე-**

**ნით გაეცანით კონტრაქტის პირობებს, თუ საშუალება გაქვთ, გადაახედეთ ის იურისტს/ადვოკატს ან ამ საკითხის მცოდნე პირს წინასწარ (ხელმოწერამდე).**

### მიუთითეთ ზუსტი ინფორმაცია თქვენთან დაკავშირებისათვის!

ხელშეკრულების დადების დროს, სწორად მიუთითეთ თქვენი პირადი ინფორმაცია – საცხოვრებელი მისამართი, ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ხშირია შემთხვევები, როდესაც მოვალეები არასწორად ან უზუსტოდ უთითებენ მისამართს და შემდგომ, უკვე პირდაპირ აღსრულების და ანგარიშების დაყადაღებით იგებენ, რომ მათ წინააღმდეგ, მთელი რიგი პროცედურა ჩატარდა. ბან-

**გაითვალისწინეთ,**

**როცა სესხს ვერ იხდით და გამსესხებელი გირჩევით, სასამართლო პრაქტიკით, მაღალი ჯარიმა მცირდება წოლზე.**

**აიიჟოა, ყოველთვის გამოცხადდით სასამართლოში, ნაკომარტინათ თქვენი კაპუმენჯები. ეს ჯარიმის შემსიკაბაში დაგეგეაკაბათ.**



კი კი აცხადებს, რომ იგი იყენებდა მოვალის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას.

აღნიშნული მისამართის (ტელეფონის, ელექტრონული ფოსტის) ცვლილებისას, მოვალე ვალდებულია, ინფორმაცია მიაწოდოს გამსესხებელს. ეს მოვალის ვალდებულებაა და მისი განუხორციელებლობა სწორედ მას აზიანებს.

როდესაც მსესხებელი იცვლის საცხოვრებელ მისამართს, ტელეფონს ან ელექტრონულ ფოსტას: აცნობეთ ამის თაობაზე გამსესხებელს. ეს სწორედ მოვალის (მსესხებლის) ვალდებულებაა.

**ეფექტური საპროცენტო განაკვეთი**

დააკვირდით, რა არის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი და არ აგერიოთ ის ნომინალურ, რეალურ, ან სხვა მონაცემში, რომელიც კონტრაქტში წერია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი აუცი-

ლებლად უნდა ეწეროს კონტრაქტის თავსართში.

ყურადღება: მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არ უნდა აღემატებოდეს წლიურ 50%-ს.

**ჯარიმები, პირგასამტეხლოები და სხვა**

ნებისმიერი საკომისიო, პირგასამტეხლო, ჯარიმა, ფინანსური სანქცია (როგორც არ უნდა ეწეროს ის კონტრაქტში, არ უნდა აღემატებოდეს სესხის ნარჩენი ძირითადი თანხის 0.27 პროცენტს თითოეული დღისთვის. თუ ეს სანქციები ჯამურად 0.27 პროცენტზე მეტია, თქვენ ეს შეგიძლიათ გაასაჩივროთ ჯერ საკუთრივ სესხის გამცემთან, შემდეგ ეროვნულ ბანკში, თუ სასამართლოში.

მიუხედავად ამისა – 0.27% ყოველ დღეზე ძალიან დიდ თანხად შეიძლება იქცეს. მაგალითად, თუ თქვენ გაქვთ სესხის ნარჩენი თანხა 5000 ლარი, და

დაავიანეთ მისი გადახდა, ყოველ გადაცილებულ დღეზე დაგერიცხებათ 14 ლარი ჯარიმა. (თვეში – 420 ლარი, წელიწადში – 5000 ლარზე მეტი ჯარიმა!)

სესხის ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის დარღვევის გამო მსესხებლისათვის ხელშეკრულებით ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის ოდენობა ყოველი ვადის გადაცილებისას ჯამურად არ უნდა აღემატებოდეს სესხის მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1.5-მაგ ოდენობას.

მაგალითად – როცა თქვენი ნარჩენი თანხაა 5000 ლარი, ფინანსური სანქციების ჯამური რაოდენობა ვერ იქნება 7500 ლარზე მეტი.

**ვინ წყვეტს დავას მსესხებელსა და გამსესხებელს შორის?**

როცა თქვენ და ფინანსური ორგანიზაცია (ბანკი, მიკროსაფინანსო, კერძო გამსესხებელი) რაიმე საკითხზე ვერ თანხმდებით, კონტრაქტი ითვალისწინებს თქვენს შორის დავის გადაწყვეტის სხვადასხვა მექანიზმს. დააკვირდით, რა წერია სასესხო ხელშეკრულებაში.

ხელშეკრულების დადების წინ, ყოველთვის შეეცადეთ მკაფიოდ იპოვოთ ხელშეკრულების ის ნაწილი, რომელიც დავის გადაწყვეტის წესს ეხება. **ყურადღება: ეს დეტალები შესაძლოა, არ ეწეროს პირველ გვერდზე (თავსართში).** არ დაიზაროთ, იპოვეთ შესაბამისი თავი ხელშეკრულებაში. შეეცადეთ, მოილაპარაკოთ ბანკის (მიკროსაფინანსოს, გამსესხებლის) წარმომადგენელთან, რომ დავა გადაწყდეს საერთო სასამართლოებისთვის მიმართვის გზით და ამასთან ერთად – არ იქნეს განერილი ხელშეკრულებაში დაუყოვნებლივ აღსრულების შესაძლებლობა.

➔ თუ ხელშეკრულებაში საერთოდ არ არის აღნიშნული დავის გადაწყვეტის წესი, მაშინ კანონის მიხედვით, დავა მაინც საერთო სასამართლოში უნდა შედგეს

➔ ხშირად, ხელშეკრულებაში წერია, რომ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, მსესხებელს აქვს უფლება პირდაპირ მიმართოს ნოტარიუსს სააღსრულებო ფურცლის გასაცემად (სასამართლოს გვერდის ავლით). ასეთი პუნქტი მსესხებლისთვის უკიდურესად საზიანოა: ამ შემთხვევაში არ შეგიძლირდებათ პირგასამტეხლო/ჯარიმა (რასაც სასამართლო ხშირად აკეთებს), მსესხებელი მოიგებს დროს და ბევრად უფრო მალე მიიღებს აღსრულების ფურცელს და დაიწყებს პროცედურებს ვალის ამოსაღებად (აღსასრულებლად) **შეეცადეთ, არ დაუშვათ მსგავსი პუნქტის არსებობა ხელშეკრულებაში.**

➔ ხშირად მსესხებლები უთითებენ, რომ მსესხებელი ეთანხმება, რომ დავის შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ შეიძლება აღსრულდეს. **შეეცადეთ, არ დაუშვათ მსგავსი პუნქტის ხელშეკრულებაში დამატება.**

➔ გამსესხებლები უთითებენ ხოლმე, რომ მხარეებს შორის დავა გადაწყდეს არბიტრაჟში (კერძო სასამართლოში). როგორც წესი, ასეთი ტიპის სასამართლო მათთვის უფრო ხელსაყრელია: საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ბევრად უფრო სწრაფია და ამით, გამსესხებელი მოიგებს დროს. ასევე, არბიტრაჟის პროცესში კერძო არბიტრების მიუკერძოებლობა, ხანდახან, ეჭვქვეშაა. ისინი შეიძლება გამსესხებელთან დაკავშირებული პირები იყვნენ, და მათ მხარეს დადგნენ. **შეეცადეთ, გაითვალისწინოთ ზემოთ დასახელებული გარემოებები თანხმობის გაცხადებისას.**

➔ ზოგჯერ, ხელშეკრულებაში იწერება, რომ კლიენტი/მსესხებელი ბანკს/მიკროსაფინანსო ორგანიზაციას/კერძო გამსესხებელს

აძლევს უფლებას უაქცეპტოდ (თანხმობის გარეშე) მოუხსნას ანგარიშიდან თანხა და მისი მეშვეობით დაფაროს არსებული ვალდებულება. ამ შემთხვევაში, სესხის გადახდის დაგვიანებისას, ბანკი იძიებს ყველა იმ ანგარიშს, რაც იმავე ბანკშია გახსნილი (იქნება ეს პენსია, ანაბარი, სოციალური დახმარება თუ სხვ.) და უაქცეპტოდ (თანხმობის გარეშე) მოუხსნის ანგარიშიდან. **შეეცადეთ, აირიდოთ ასეთი ჩანაწერი ხელშეკრულებაში.**

### ცალმხრივი ცვლილება ხელშეკრულებაში

ხელშეკრულებათა უმრავლესობა ითვალისწინებს გამსესხებლის მიერ ხელშეკრულებაში ცალმხრივი ცვლილების წესის არსებობას. თუმცა, მათ გარკვეული წესები უნდა დაიცვან:

- ➔ ცვლილების დროს, ხელშეკრულების თავსართში მიუთითონ მომხმარებლის (მსესხებლის) ინფორმირების წესი და ვადა
- ➔ მსესხებელი ვალდებულია, შემოგვთავაზოს მინიმუმ ერთი მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომი და მისაღები, მომხმარებლისათვის უფასო წინასწარი შეტყობინების ინდივიდუალური საკომუნიკაციო, მათ შორის, მატერიალური ან ელექტრონული არხი (მოკლე ტექსტური შეტყობინება, ინტერნეტბანკი, სატელეფონო ზარი და ა.შ.) და ხელშეკრულებაში გაითვალისწინოს შეტყობინების მომხმარებელთან შეთანხმებული არხი, წესი და ვადა. **აირჩიეთ თქვენთვის შესაფერისი შეტყობინების ტიპი ხელშეკრულების დადების წინ.**
- ➔ იმ შემთხვევაში კი თუ არ ეთანხმებით ცვლილებას, დროულად აცნობოთ ამის თაობაზე ხელშეკრულების მეორე მხარეს – კონტრაჰენტს.



# ურთიერთობა გამსესხებელთან: როგორ გადავჭრათ ვალის დაფარვის პრობლემა

## დავალიანების გადახდა (დაგვიანებული გადახდა)

თუ ხვდებით, რომ სესხის დაფარვა დაგიგვიანდებათ, არ დააყოვნოთ. რაც უფრო ადრე იმოქმედებთ, მით უფრო დიდი შანსია თავიდან აიცილოთ შესაძლო უხერხულობა და გაზრდილი ხარჯი:

- ➔ პირველ რიგში, დაუკავშირდით გამსესხებელს წინასწარ (ანუ მაშინ, როცა ჯერ კიდევ ყველაფერი წესრიგში გაქვთ) და შეეცადეთ, აუხსნათ სიტუაცია (დაკარგეთ სამსახური, შეგიმცირდათ ხელფასი თუ სხვ.)
- ➔ თუ პრობლემა ერთჯერადია, შეეცადეთ დაარწმუნოთ გამსესხებელი, გადადოს სესხი (თუმცა დააკვირდით მათ შემოთავაზებებს – იქ შეიძლება ნაგულისხმები იყოს სხვადასხვა ჯარიმა)
- ➔ გრძელვადიანი პრობლემის შემთხვევაში (მაგალითად – დაკარგეთ სამსახური), შეეცადეთ, სესხი უფრო ხანგრძლივ ვადაზე გადაანაწილოთ.

➔ როცა გაქვთ ერთზე მეტი სესხი, სცადეთ სესხების კონსოლიდაცია, ანუ სესხების გაერთიანება ერთ სესხად, უფრო დაბალ პროცენტში.

- მიმართეთ არა ერთ, არამედ რამდენიმე ბანკს ან მიკროსაფინანსოს. არის შემთხვევები, როცა რამდენიმე უარის შემდეგ, ბოლოს, თქვენთვის შესაფერის პასუხს მიიღებთ

➔ როცა ხვდებით, რომ სესხი შეიძლება ვერ დაფაროთ, იპოვეთ თქვენს მიერ ხელმოწერილი კონტრაქტი და კარგად გადახედეთ ჯარიმებს, პირგასამტეხლოს და მათი გაცემის წესებს. თუ გაქვთ საშუალება, გადაახედეთ ეს კონტრაქტი ადვოკატს.

➔ თუ ვერ პოულობთ ან დაკარგეთ ხელშეკრულება, დაუკავშირდით სესხის გამცემს და მოიპოვეთ ხელშეკრულების ასლი ხელახლა (ისინი მოგცემენ ახალ კონტრაქტს დაბეჭდილი სახით)

### სესხის მოთხოვნა გამსესხებლის მიერ

- ➔ თუ თქვენ არ გადაიხდით სესხს გარკვეული ხნის განმავლობაში, გამსესხებელი მოითხოვს სესხის სრულად დაფარვას. ეს ნიშნავს, რომ ერთდროულად უნდა დაუბრუნოთ მთელი თქვენი დავალიანება – მათ შორის პროცენტი, ჯარიმა და სხვა ხარჯები.
- გამსესხებლებს აქვთ უფლება, რომ სესხი მთლიანად მოითხოვონ თანხის გადაუხდელობის პირველივე თვიდან. თუმცა, როგორც წესი, სესხის სრულად დაფარვის მოთხოვნამდე გამსესხებლები გარკვეული პერიოდი იცდიან.
- როგორც წესი, ყველაზე ნაკლებ დროს, ხშირად, თვეზე ნაკლებს იცდიან კერძო გამსესხებლები, ხოლო უფრო დიდ ხანს,

ხშირად, 3 თვეს – ხანკები.

- ხდება ხოლმე, რომ გამსესხებელი ელოდება კანონით განსაზღვრულ მაქსიმალურ ვადას (3 წელი) და თანხას სრულად ითხოვს ამ პერიოდის ბოლო ნაწილში (მაგალითად – 2 წელიწადსა და 9 თვეში), როცა გადაუხდელობის ჯარიმა და სხვა საურავები მაქსიმალურად გაზრდილია.
- ➔ სესხების გადაუხდელობა იწვევს თქვენს ე.წ. კრედიტ-ინფოს „შავ სიაში“ შეყვანას, რაც მომავალში გაგირთულებთ სხვა სესხის მიღებას.
- ყურადღება! ხშირად, ფინანსური ორგანიზაციები ან ამომღები სააგენტოები ეუბნებიან მსესხებელს, რომ გარკვეული თანხის დაუბრუნებლობის შემთხვევაში,

## დამატებითი საკითხები:

**ხშირად ფინანსური ორგანიზაციები ან ამომღები სააგენტოები ეუბნებიან მსესხებელს,**

**რომ გარკვეული თანხის არ დაბრუნების შემთხვევაში მათ წინააღმდეგ შეიძლება წამოიწიონ**

**სისხლის სამართლის საქმე, ან რომ მათ არ ეძნებათ ძველის დატოვების უფლება ვალის გადახდამდე.**



**ეს ტყუილია. ასეთი რამ კანონით განსაზღვრული არ არის.**



მათ წინააღმდეგ შეიძლება წამოიწიოს სისხლის სამართლის საქმე, ან რომ მათ არ ექნებათ ქვეყნის დატოვების უფლება ვალის გადახდამდე. **ეს ტყუილია.** ასეთი რამ კანონით განსაზღვრული არ არის.

### სესხის აღიარება და გადავადება (რესტრუქტურისაცია)

➔ გამსესხებელსა და მსესხებელს შორის შეიძლება დაიდოს ახალი ხელშეკრულება და შეიქმნას განვადების ახალი კალენდარი. ამ გამოსავალს ხშირად აქვს აზრი, მაგრამ, ხშირად, ამას განაპირობებს ე.წ. სესხის აღიარების ხელშეკრულება. ყურადღება მი-აქციეთ შემდეგ მნიშვნელოვან დეტალებს და ხრიკებს:

- დავალიანება შეიძლება გაიზარდოს ჯა-რიმით ან პირგასამტეხლოთი.
- გამსესხებელმა ან ე.წ. პრობლემური სესხების ბიურომ შეიძლება ხელშეკრუ-ლებაში ჩაწეროს ნოტარიუსის მიერ სა-აღსრულებო ფურცლის გაცემის შესაძ-ლებლობა, რაც თქვენ სასამართლოში დაცვის საშუალებას გიკარგავთ
- გამსესხებელმა შეიძლება მოითხოვოს ახალი იპოთეკა თქვენს სესხზე
- ზოგჯერ, გამსესხებელმა შეიძლება შე-მოგთავაზოს სხვა, უფრო მაღალ პრო-ცენტის სესხი (მაგალითად – ექსპრეს-სესხი) ძველი კრედიტის გადასაფარად. ასე თქვენი დავალიანება შეიძლება უფ-რო გაიზარდოს
- სესხის ასეთი ცვლილება ბევრ სირთუ-ლეს შეიცავს – ამიტომ ყოველთვის შეე-ცადეთ, აჩვენოთ ახალი ხელშეკრულება ადვოკატს ან მცოდნე პირს.
- თუ თქვენი სესხი ვადაგადაცილებულია და უახლოვდება ხანდაზმულ ვადას,

რომელიც არის 3 წელი (შეამონმეთ ამ 3 წლის ათვლის დაწყების თარიღი!), ნებით არ დაიწყოთ სესხის დაფარვა, რადგან ამ შემთხვევაში, ხანდაზმულო-ბა „ნოდება“ და დროის ათვლა თავი-დან დაიწყება, სესხი კი რჩება. ამ დროს უმჯობესია, დაელოდოთ კონტაქტს გამსესხებლისგან.

- როცა სესხი ხანდაზმულია (3 წელს ზე-მით), მაგრამ გამსესხებელს მაინც შეაქვს სარჩელი სასამართლოში – ყოველთვის მიუთითეთ ეს ფაქტი სასამართლოს შე-საგებელში წერილობით, და ასევე, ზეპი-რად, უშუალოდ სასამართლო პროცესის დროს. **მიუთითებლობის შემთხვევაში, თანხა მაინც დაგეკისრებათ და მოხ-დება იძულებითი აღსრულება.**

### სესხის ხანდაზმულობა

➔ კანონით სესხის ხანდაზმულობა არის **მოთხოვნიდან 3 წელი – რომლის ვა-დაც იწყება კონკრეტული ვალდებუ-ლების შეუსრულებლობის მომენტიდან (მაგალითად – როცა აღარ გადაიხადეთ სესხი).**

➔ ამიტომ, ყოველთვის გაარკვიეთ თქვენივე ხელშეკრულებაში – კონკრეტულად რა მო-მენტიდან იწყება ხანდაზმულობა. მაგალი-თად, თუ თქვენ უნდა გადაგეხადათ სესხის თვიური გადასახადი 2020 წლის 1 იანვარს, 2023 წლის 1 იანვრიდან გამსესხებლის მოთხოვნა იქნება ხანდაზმული.

➔ ამასთან, კრედიტორები ცდილობენ, რომ სეს-ხის დაფარვა განახლდეს, რომ 3-წლიანი ვადის ათვლა თავიდან დაიწყო. თუ თქვენ, მაგალი-თად, არ იხდით სესხს 2 წელი, და ერთხელ გადაიხადეთ მცირე თანხა – 3-წლიანი ვადის ათვლა ამ ახალი გადახდიდან დაიწყება



**როცა სესხი ხანდაზმულია**

**(3 წელს ზემოთ), მაგრამ გამსესხებელს მაინც შეაქვს სარჩელი სასამართლოში - ყოველთვის მიუთითეთ ეს ფაქტი სასამართლოს შესაბამელებში წერილობით და ზეპირადაც სასამართლო პროცესის დროს.**

**მიუთითებლობის შემთხვევაში, თანხა მაინც დაგვიკისკებათ და მოხდება იძულებითი აღსრულება.**

- ➔ ხანდაზმულობის სტანდარტული ვადაა სამი წელი. ამასთან, ზოგიერთ გამსესხებელს სესხის ხელშეკრულებაში უფრო გრძელი ვადა აქვს ან დაფარვის გრაფიკზე მოლაპარაკებების დროს ვარაუდობს, რომ იგი გაგრძელდება. ასეთი ჩანაწერები უკანონოა.
- ➔ თუ გამსესხებელი შესაბამის ვადაში წამოიწყებს დავას (სესხის გადაუხდელობის მომენტიდან 3 წლის ფარგლებში) და სასამართლო გამოიტანს მისთვის ხელსაყრელ გადაწყვეტილებას – ამ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების ხანდაზმულობაა 10 წელი. მაგალითად, თუ გამსესხებელი გიჩივლებთ და სასამართლო მისთვის ხელსაყრელ გადაწყვეტილებას გამოიტანს, ამ გადაწყვეტილების აღსრულების საბოლოო ვადაა 10 წელი, რის განმავლობაშიც აღმასრულებელს ექნება უფლება, დაეუფლოს და განკარგოს თქვენი ქონება სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების, სესხის და ჯარიმების დაფარვის ფარგლებში.

**სესხის ამოღების გზები**

- ➔ როცა აღარ იხდით სესხს, ხშირად, თქვენი ვალდებულება „გადაეცემა“ სესხის ამოღების ბიუროს (ამომღებ კომპანიას).
- ➔ თუ უცნობი კომპანია მოგთხოვთ გადახდას, იკითხეთ საიდან არის ეს სესხი? ნუ გადაიხდით ისეთ სესხს, რომელიც არ გეხებათ.
- ➔ **არ გადაიხადოთ არც ერთი თეთრი მხარეთა შორის (თქვენს და ამომღებ ორგანიზაციას შორის) წერილობით დადებული შეთანხმების გარეშე.** ხშირია შემთხვევები, როცა ამომღები ორგანიზაციები ახდევინებენ მსესხებლებს ათასობით ლარს, რაც მთლიანად მიდის ჯარიმებში და არ აკლდება ძირ თანხას. ამიტომ ყოველთვის დადეთ წერილობითი შეთანხმება, სადაც განისაზღვრება რაში რამდენს და როდის გადაიხდით.
- ➔ ამომღებები ხშირად მიმართავენ ფსიქოლოგიურ ზეწოლას და გარკვეულ ინფორმაციას აწვდიან მსესხებელს, ხშირად, მათი ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება.

გადაამოწმეთ ეს ინფორმაცია!

- ➔ ამომღები ორგანიზაციების წარმომადგენლები ხშირად არაეთიკურად იქცევიან – ისინი ემუქრებიან მსესხებელს, უკავშირდებიან მათ ნათესაებს, დღეში რამდენჯერმე მოუწოდებენ მათ, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში არცხვენენ და სხვა. ნუ შეგეშინდებათ ფსიქოლოგიური ზეწოლის, არამედ შეეცადეთ, იმოქმედოთ რაციონალურად, წერილობით და წესრიგის დაცვით. ნუ აჰყვებით ამომღები ორგანიზაციის თანამშრომლების „თამაშის წესებს“.
- ➔ როცა ხედავთ, რომ ამომღები კომპანია მესამე პირებთან (თქვენს მშობლებთან, ნათესავებთან, სოციალური ქსელის მეშვეობით თუ სხვა გზით) ავრცელებს თქვენს პირად ინფორმაციის შესახებ მონაცემებს – რისი უფლებაც თქვენ არ მიგიციათ – თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ სახელმწიფო ინსპექ-

ტორის სამსახურს ამომღების მიერ პერსონალური მონაცემების დარღვევის ფაქტზე. დარღვევის დადასტურების შემთხვევაში, სასამართლო წესით შეგიძლიათ იდავოთ მორალური ზიანის ანაზღაურებაზე.

- ➔ თუ „ამომღები“ კომპანია თქვენ გემუქრებათ, ან რაიმე სხვა სახით არღვევს კანონს, მიმართეთ შსს-ს.

**ვისი დახმარების იმედი გვქონდას?**

- ➔ ეროვნული ბანკის მომხმარებელთა უფლებების დაცვის დეპარტამენტი
- ➔ უფასო ადვოკატები მუნიციპალიტეტებში/გამგეობებში
- ➔ იურიდიული დახმარების სამსახური (სახაზინო ადვოკატები)
- ➔ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
- ➔ ახალგაზრდა ადვოკატები

**თუკი გიკავშირდებათ**

უცნობი კომპანია და გთხოვთ ვალდებულების დაფარვას, იკითხეთ, თუ საიდან არის სესხი. ნუ დაფარავთ ვალდებულებას, რომელიც თქვენ არ გეხებათ.

თუკი შეწყვეთ სესხის დაფარვას, თქვენი ვალდებულება შესაძლოა „გადაეხას“ სესხის ამომღებ ბიუროს.

არ გადაიხადოთ არცერთი თეთრი სესხის ამომღებ ბიუროსთან წერილობითი შეთანხმების გაფორმების გარეშე, სადაც აღწერილი იქნება, თუ რამდენს იხდით, როდის და რა მიზნით.

- ➔ ინტერნეტ გამოცემა „საზოგადოება და ბანკები“
- ➔ ინდივიდუალური ადვოკატები
- ➔ საზოგადოებრივი/პოლიტიკური მოძრაობები
- ➔ ფეისბუქი და სოციალური მედია

### გამსესხებულთან ურთიერთობის ზოგადი პრინციპები

- ➔ **ნუ დაიმალებით.** ნუ შეიქმნით ილუზიას, რომ სესხი არ არსებობს. საბოლოო ჯამში, მსესხებელი მაინც შეეცდება თქვენს წინააღმდეგ ჩივილს და თანხის ამოღებას სხვადასხვა გზით. თუ თქვენ მათ პასუხს არ გაცემთ, ისინი თავის საქმეს უფრო ადვილად გააკეთებენ.
- ➔ **ყოველთვის შეამონმეთ თქვენი სახლის ფოსტა, სატელეფონო ზარები ან ელექტრონული ფოსტა.** თუ თქვენ არ ცხოვრობთ მუდმივი საცხოვრებლის მისამართზე, ჩანერეთ მიწოდების მისამართი მოსახლეობის რეესტრში – მიაწოდეთ თქვენი ახალი მისამართი მსესხებელს.
- ➔ როცა თქვენს მისამართზე მოვა წერილი (ფოსტა), ჩაიბარეთ ის! თუ თქვენ არ ჩაიბარებთ წერილს, თქვენ კარგავთ შესაძლებლობას, გაიგოთ რა ხდება თქვენ თავს – თქვენ წინააღმდეგ შეტანილია სარჩელი, დაწყებულია გამარტივებული აღსრულება თუ რაიმე სხვა პროცედურა.
- ➔ **თუ ხართ უცხოეთში, ან სხვა მიზეზით პირადად ვერ პასუხობთ შეტყობინებებს** – გააკეთეთ მინდობილობა ოჯახის წევრზე ან სხვა ნდობით აღჭურვილ პირზე.
- ➔ **იმოქმედეთ წერილობით:** გაუგზავნეთ კრედიტორს ნებისმიერი შეთანხმება, წინადადება ან მნიშვნელოვანი შეტყობინება რეგისტრირებული ფოსტით, ხელით ხელ-

მოწერილი, შეინახეთ მიწოდების ცნობა და თქვენი კომუნიკაციის ასლი. ეს გამოგადგებათ სასამართლო პროცესის შემთხვევაში, როგორც მტკიცებულება.

- ➔ **შეინახეთ გადახდის დამადასტურებელი ყველა საბუთი.** ყოველთვის შეინახეთ გადახდის ქვითრები, ანგარიშების ამონაწერები, რომლებიც აჩვენებს გადახდილ განვადებებს, თუ სხვა მნიშვნელოვანი საბუთები.
- ➔ **არ იმოქმედოთ ემოციებზე დაყრდნობით.** ხშირად გამსესხებელი ან ე.წ. „ამომღები სააგენტო“ თქვენზე ახორციელებს ზეწოლას, ცდილობს თქვენს დაშინებას. ეს უსიამოვნოა, მაგრამ შეეცადეთ, იფიქროთ საღი გონებით და არ მიიღოთ გადაწყვეტილება ემოციურად. ზეწოლის ქვეშ მოქმედება არ ნყვეტს პრობლემას.
- ➔ **არ შეჰპირდეთ შეუძლებელს.** დაპირდით გამსესხებელს მხოლოდ იმას, რისი გაკეთებაც შეგიძლიათ. რეგულარულად მცირე გადახდა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე დიდი გადახდის დაპირება და შემდეგ ამ დაპირების შეუსრულებლობა.
- ➔ **ყოველთვის გაარკვიეთ, რაზე დაყრდნობით სურს ესა თუ ის თანხა თქვენს მსესხებელს.** ჰკითხეთ – უმჯობესია წერილობით – რამდენია უშუალო სესხი (ძირი), რამდენია დარიცხული პროცენტი, რამდენია ჯარიმა, რამდენი – პირგასამტეხლო და რის საფუძველზე შედგა ეს ჯამური თანხა. გამოითხოვეთ ეს ინფორმაცია გამსესხებლისგან წერილობით. ეს, შესაძლოა, სასამართლოში მოგადგეთ.
- ➔ **შეეცადეთ, მიმართოთ პროფესიონალ ადვოკატს ან დახმარების სხვა გზას (იხ. ქვემოთ).**

# რა უნდა ვიცოდეთ

## სასამართლო პროცესის შემთხვევაში

ზოგადად, საქართველოს სასამართლოს პრაქტიკა, ძირითადად, სასარგებლოა მსესხებლისათვის! მართალია, სესხის განულება არ ხდება, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში ხდება ჯარიმების, პირგასამტეხლოების და სხვათა შემცირება. ხშირად, როცა საქმე ეხება მევახშეს – თვალთმაქცო-

ბით დადებული „გირავნობის“ (ე.წ. ნასყიდობა-გამოსყიდვის უფლებით კონტრაქტი) უქმდება.

შეეცადეთ, ორგანიზებულად მიუდგეთ სასამართლო პროცესს, რადგან ასეთ შემთხვევაში, სასამართლო, უმრავლესად, მსესხებელს უფრო აწყობს.

## სასამართლო პროცესის ვარიანტები

როცა მსესხებელი არ იხდის სესხს, გამსესხებელი მიმართავს სასამართლოს.

### გამონაკლისი 1:

ზოგიერთ ხელშეკრულებაში წერია, რომ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, გამსესხებელს აქვს უფლება პირდაპირ მიმართოს ნოტარიუსს სააღსრულებო ფურცლის გასაცემად (სასამართლოს გვერდის ავლით). ასეთი ჩანაწერი აუცილებლად უნდა იყოს კონტრაქტში – წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთი მიმართვა ნოტარიუსის მიმართ უკანონოა.

### გამონაკლისი 2:

ხშირად, გამსესხებლები მიმართავენ გამარტივებული წარმოებით აღსრულების ეროვნული ბიუროს, თავმჯდომარისთვის ბრძანების გამოცემაზე განცხადების მეშვეობით – სასამართლოების გვერდის ავლით. ამ შემთხვევაში თქვენ გაქვთ უფლება, უარყოთ ეს მოთხოვნა და შესაბამისად, საქმის წარმოება აღსრულების ეროვნულ ბიუროში შეწყდება. გამოიყენეთ ეს უფლება.

**საერთო სასამართლო**

გამსესხებელი მიმართავს სასამართლოს ვალის ამოსაღებად, რისთვისაც წერს **სასამართლო სარჩელს**. ამისთვის, ის მიმართავს სასამართლოს (პირველ ინსტანციას). ეს შეიძლება იყოს რაიონული ან საქალაქო სასამართლო – მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლო, თელავის რაიონული სასამართლო, სამტრედიის რაიონული სასამართლო და სხვა. ასეთი სასამართლო 26-ია და სასამართლოს ირჩევენ, როგორც წესი, მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ამ შემთხვევაში, ორ მხარეს შორის იწყება სამოქალაქო დავა შეჯიბრებითობის პრინციპით, რაც იმას ნიშნავს, რომ მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები და შესაგებლები. მხარეები თავად ირჩევენ იმ მტკიცებულებებსაც, რაც მათ მონათხრობს დაადასტურებს. ამდენად, მსესხებელს არ უნდა ჰქონდეს მოლოდინი, რომ მოსამართლე თავისი ინიციატივით დაიწყებს მტკიცებულებათა მოგროვებას ან თქვენს დეტალურ გამოკითხვას. **შესაბამისად, თქვენს მიერ წარდგენილ დოკუმენტებს, ახსნა-განმარტებას, ამონაწერს, პირად ინფორმაციას და სხვა მონაცემებს ძალიან დიდ ფასს აქვს სასამართლო პროცესისას!**

სასამართლო სარჩელს მიიღებთ ფოსტით, თქვენს ოფიციალურ საცხოვრებელ, ან თქვენ მიერ მითითებულ სხვა მისამართზე. **ყოველთვის ჩაიბარეთ თქვენი მისამართით აღძრული სარჩელი**. მოვალის მიერ სარჩელის არ ჩაბარება (საფოსტო კურიერისთვის თავის არიდება, კარის არ გაღება და სხვა) პასუხისმგებლობისგან არ გაათავისუფლებს და იგი უმეტეს შემთხვევაში, დაამძიმებს მოვალის მდგომარეობს.

**სარჩელის ჩაბარების წესები**

სასამართლო უწყება, მათ შორის, სარჩელიც ადრესატს ბარდება მხარის მიერ მითითებული ძირითადი მისამართის (ფაქტობრივი ადგილსამყოფლის), ალტერნატიული მისამართის, სამუშაო ადგილის, სასამართლოსთვის ცნობილი სხვა მისამართის, ან მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ჩაბარების განსხვავებული წესის მიხედვით. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ისიც, თუ რა მისამართი მიუთითეთ სესხის ხელშეკრულებაში – იქიდან გამომდინარე რომ ადგილსამყოფლის შეცვლის შემთხვევაში სწორედ თქვენ, მოვალეს გქონდათ პასუხისმგებლობა, შეგეტყობინებინათ კრედიტორისთვის საცხოვრებლის შეცვლის თაობაზე.

თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსაძახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე ქმედუნარიან წევრს, ხოლო თუ უწყება ბარდება სამუშაო ადგილის მიხედვით – სამუშაო ადგილის ადმინისტრაციას.

სასამართლო, როგორც წესი, ცდილობს ყველა საშუალება გამოიყენოს სარჩელის ჩასაბარებლად, მათ შორის, ზოგჯერ ხელახლა გზავნის სარჩელს მისამართზე ან/და შინაგან საქმეთა სამინისტროს ადგილობრივ ორგანოებს ავალებს, როგორმე ჩააბარონ მოსარჩელეს სარჩელი. **ამას თქვენს (მოვალის) დასაცავად აკეთებს**. იმ შემთხვევაში, თუ ყველა გზა უშედეგო აღმოჩნდა, კეთდება საჯარო შეტყობინება. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე, ვებგვერდზე განთავსებით ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში – მისივე ხარჯებით იმ გაზეთში, რომელიც მასობრივად



გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, ან ინფორმაციის სხვა წყაროებში გამოქვეყნებით.

სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება სასამართლო შეტყობინების შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებიდან ან გაზეთში ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

**თუ ადრესატი ან ზემოთ ჩამოთვლილი პირები უარს იტყვიან სარჩელის ჩაბარებაზე, იგი ჩაბარებულად ჩაითვლება.**

**შესაგებელი**

**შესაგებელი არის თქვენი იურიდიული პასუხი სარჩელის შინაარსზე. აქ შეგიძლიათ დაწეროთ გარემოებები, თუ რატომ ვერ იხდით სესხს, თქვენი მოსაზრებები და სამომავლო გეგმები. (დეტალურად იხ. ქვემოთ)**

როდესაც მსესხებლის წინააღმდეგ ბანკი (მიკროსაფინანსო, კერძო გამსესხებელი) წამოიწყებს სარჩელს და სარჩელი ჩაბარებულია, მოსამართლე განსაზღვრავს შესაგებლის ჩაბარების ვადას. ყველაზე ხშირად, ეს არის 10 ან 14 კალენდარული დღე. **დააკვირდით ამ ვადას და არ გამოტოვოთ ის.**

**ყოველთვის დაწერეთ შესაგებელი. ისარგებლეთ იურისტის/ადვოკატის დახმარებით.** თუ ეს შეუძლებელია, თქვენ თვითონ დაწერეთ შესაგებელი. შესაგებლის არ ჩაბარებას თქვენივე დაწერილი შესაგებელი ჯობს.

➔ თუ მოპასუხეს სათანადო წესით ჩაბარდება სარჩელი (იხ. წინა თავი) და ის არ წარად-

გენს შესაგებელს, როგორც წესი, მოსარჩელის მოთხოვნა სრულად კმაყოფილდება, გამოიცემა ე.წ. დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

➔ **აუცილებლად გამოცხადდით სასამართლო დარბაზში პროცესისთვის.** დაუსწრებელ გადაწყვეტილებას იღებენ მაშინაც, როდესაც მოვალე არ ცხადდება სასამართლო განხილვაზე.

**სასამართლო სხდომაზე მოქმედების ზოგადი პრინციპები**

**უპასუხეთ გამსესხებლის ყველა არგუმენტს.** სარჩელის საპასუხოთ წარდგენილი შესაგებელი გულდასმით შეავსეთ და არგუმენტირებულად უპასუხეთ მოსარჩელის თითოეულ მოსაზრებას. თუ სარჩელში რაიმე ნაწილს არ ეთანხმებით, მაგრამ ეს შესაგებელში არ აღგინიშნიათ – ეს ნაწილი საქმის არსებით განხილვაში მონაწილეობას არ მიიღებს.

**შეარჩიეთ თქვენთვის მნიშვნელოვანი ფაქტები მსჯელობისას.** ნუ დაელოდებით მოსამართლის კითხვებს და მინიშნებებს – თქვენ თვითონ მოჰყევით თქვენთვის მნიშვნელოვანი ფაქტები

**კარგად გამოყავით და დოკუმენტურად დაასაბუთეთ სესხის გადაუხდელობის მიზეზები.** სესხის გადაუხდელობის საპატიო მიზეზების გამოკვეთას დიდი მნიშვნელობა გააჩნია, მათ შორის, პირგასამტეხლოს შემცირებაზე მსჯელობისას. თქვენი პრობლემების დასადასტურებლად შეგიძლიათ წარადგინოთ როგორც წერილობითი მტკიცებულებები, (მაგ. სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანება, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შესახებ ცნობა და ა.შ) ასევე იშუამდგომლოთ შესაბამისი მონმეთა წარმოდგენის თაობაზე.

თუ შეინახეთ ბანკთან კომუნიკაციის ჩანაწერი-

ბი, სადაც ატყობინებდით კრედიტორს ხელშეკრულების დარღვევის მიზეზებს და სთავაზობდით სესხის გადახდის ახალ გრაფიკზე მოლაპარაკებების დაწყებას – დაურთეთ ეს საბუთები შესაგებელს და შემდეგ აჩვენეთ ისინი მოსამართლეს.

**შუამდგომლობები (მაგალითად – მონმის დასაკითხად) და მტკიცებულებები (მაგალითად, დოკუმენტების ბანკიდან გამოთხოვა) – უნდა წარადგინოთ მოსამზადებელი სხდომის დასრულებამდე.** საქმის არსებით სხდომაზე ამის გაკეთება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ დაასაბუთებთ, რომ მანამდე ობიექტური და საპატიო მიზეზის გამო ვერ შეძელით ეს.

**პროცესზე, ფურცელზე მონიშნეთ მონინაალმდეგის (გამსესხებლის) ძირითადი მოსაზრებები და თითოეულ მათგანს არგუმენტირებული პასუხი გაეცით.** არსებით განხილვაზე, თქვენ სიტყვა მოგეცემათ მოსარჩელის მოსაზრებების მოსმენის შემდეგ.

**დაიცავით პატივისცემის და ზრდილობის ნორმები.** მონინაალმდეგისთვის შეურაცხყოფის მიყენება მიიჩნევა სასამართლოს უპატივცემულობად და შესაძლებელი არის გამოყენებულ იქნას დისციპლინური ღონისძიებები, რაც ვერ ნაადგება თქვენ საქმეს.

**თუ გნებავთ გასაჩივრება: სხდომაზე გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 20-დან 30 დღის ვადაში ვალდებული ხართ, მიხვიდეთ სასამართლოში და განცხადება დაწეროთ წერილობითი გადაწყვეტილების გადმოცემის მოთხოვნით.**

**დაუსწრებელი გადაწყვეტილება**

თუ არ ჩააბარეთ შესაგებელი, ან არ გამოცხად-

დით დანიშნულ სასამართლოზე, სასამართლოს გამოაქვს **დაუსრულებელი გადაწყვეტილება**. როგორც წესი, ამ დროს სრულად კმაყოფილდება მოსარჩელის მოთხოვნა, თუ ის კანონსაწინააღმდეგო არაა.

**თქვენ შეგიძლიათ გაასაჩივროთ დაუსრულებელი გადაწყვეტილება 10 კალენდარულ დღეში.**

საჩივარში შეგიძლიათ აღწეროთ ის გარემოებები, რამაც გამოიწვია თქვენს მიერ დროულად შესაგებლის წარდგენა ან სასამართლო განხილვაში მონაწილეობის მიღება (მაგალითად – ჯანმრთელობის მდგომარეობა ან სხვ.)

იმ შემთხვევაში, თუ თქვენ გაასაჩივრეთ დაუსრულებელი გადაწყვეტილება, მაგრამ იგი არ დაკმაყოფილდა და არ ეთანხმებით შინაარსს, შეგიძლიათ სააპელაციო წესითაც მისი გასაჩივრება.

**სააპელაციო და საკასაციო საჩივარი**

მხარეებს შეუძლიათ გაასაჩივრონ მათ წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილებები. სააპელაციო საჩივრის შეტანისას მომჩივანმა უნდა გადაიხადოს სახელმწიფოს სასარგებლოდ დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტი, მაგრამ არანაკლებ 150 ლარი. საკასაციო სასამართლოში საჩივრის შეტანისას კი, დავის საგნის ღირებულების 5 პროცენტი მაგრამ არანაკლებ 300 ლარი. აღნიშნული მნიშვნელოვნად აღემატება პირველი ინსტანციაში გადასახდელ თანხას სადაც 3% და შესაბამისად არანაკლებ 100 ლარი, რომელიც შესაძლოა განახევრდეს თანხის ოდენობიდან გამომდინარე.

სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში თქვენ შეგიძლიათ თავად წარმოადგინოთ თქვენი თავი. იმ შემთხვევაში კი, თუ წარმომადგენელი გჭირდებათ, ის აუცილებლად იურიდიული განათლების მქონე და შესაბამისი ლიცენზიის

მქონე ადვოკატი უნდა იყოს. ამასთან, სასამართლოებში, როგორც სარჩელი, ისევე შესაგებელი, ასევე სააპელაციო და საკასაციო საჩივარი შედის წინასწარ, ყველასთვის სავალდებულოდ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დადგენილი ფორმით.

**პროცესები საერთო სასამართლოს გვერდის ავლით**

სამწუხაროდ, პრაქტიკაში არსებობს გზები, რომლითაც კრედიტორებს შეუძლიათ გვერდი აუარონ სასამართლო დავას. ამის შემდეგ მოვალე კარგავს დავის დამოუკიდებლად განხილვის შესაძლებლობას.

კრედიტორების მიერ გამოყენებული ყველაზე გავრცელებული სქემებია: საარბიტრაჟო დავა, და ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცელი და მიმართვა აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარეს.

**საარბიტრაჟო სასამართლო (კერძო სასამართლო)**

როცა კონტრაქტში გათვალისწინებულია დავის საარბიტრაჟო გზით გადაწყვეტა, ბანკი (მიკროსაფინანსო, კერძო გამსესხებელი) თავის მიზნის მისაღწევად მიმართავს კონტრაქტით გათვალისწინებულ კერძო საარბიტრაჟო სტრუქტურას (სასამართლოს).

არბიტრაჟზე შეთანხმება აუცილებლად წერილობითი ფორმით უნდა მოხდეს. იმ შემთხვევაში თუ მსგავსი შეთანხმება არსებობს, სასამართლო შესაბამისი შუამდგომლობის არსებობის შემთხვევაში შეწყვეტს საქმის განხილვას და მხარეებს არბიტრაჟის შესახებ შეთანხმების არსებობაზე მიუთითებს.

გვახსოვდეს: **საერთო სასამართლოებთან შედარებით, არბიტრაჟებში საქმის განხილვა**



**გაცილებით დაჩქარებულად მიმდინარეობს, შესაბამისად მოვალესაც ნაკლები შესაძლებლობა აქვს, რომ ისარგებლოს დროით და მოემზადოს თანხის დაფარვისთვის.**

აუცილებელია ვიცოდეთ ისიც, რომ არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ცნობასა და აღსრულებაზე წარედგინება პირდაპირ სააპელაციო სასამართლოს რომელიც როგორც წესი ზეპირი განხილვის გარეშე ამოწმებს დოკუმენტაციას. ამასთან ის უგზავნის მოვალეს შეტყობინებას და აძლევს 7 დღეს, რომ დაასაბუთოს თუ რატომ არ უნდა ცნოს მან არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

საფუძვლები შეიძლება იყოს: არბიტრაჟის შემადგენლობა ან საარბიტრაჟო წარმოება არ შესაბამებოდა მხარეთა შეთანხმებას, მხარე არ იყო ჯეროვნად ინფორმირებული არბიტრის დანიშვნის ან საარბიტრაჟო განხილვის შესახებ, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს და ა.შ

პრაქტიკაში, არბიტრაჟი უფრო ნაკლებად მომგებიანია მსესხებლისთვის, არბიტრები ხშირად დაკავშირებულნი არიან კონკრეტულ ბანკებთან და მათ სასარგებლო გადაწყვეტილებებს იღებენ. ამიტომ შეეცადეთ, დავა დაიწყოთ საერთო სასამართლოში.

**მიმართვა ნოტარიუსის მიმართ სააღსრულებო ფურცლის მოთხოვნით**

კანონმდებლობის მიხედვით, მხარეებს სესხის ხელშეკრულების, ასევე სესხისა და იპოთეკის (უძრავ ნივთთან მიმართებით ხშირად შეცდომით მოხსენიებული როგორც გირავნობა) ხელშეკრულების დადებისას და სხვა შემთხვევებში, შეუძლიათ შეთანხმდნენ პირდაპირ ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცლის გაცემაზე.



**თუ ამის შესახებ კონტრაქტში გარკვევით არ წერია, გამსესხებელს სასამართლოს გვერდის ავლით ნოტარიუსის მიმართ სააღსრულებო ფურცლის მოთხოვნის უფლება არ აქვს.**

ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, გამსესხებელს შეუძლია სასამართლო განხილვების გარეშე პირდაპირ აღსრულებას მიმართოს და მოითხოვოს ვადამოსული და შეუსრულებელი მოთხოვნის იძულებით შესრულება.

აუცილებელია, მოვალემ იცოდეს, რომ იმ შემთხვევაში, თუ იგი არ ეთანხმება სააღსრულებო ფურცლის შინაარსს, მას შეუძლია იგი გაასაჩივროს სამოქალაქო წესით სასამართლოში.

ამ შემთხვევაში მოვალეს, ნაცვლად წინა თავში განხილული შესაგებლისა, მოუწევს უკვე სარჩელის წარდგენა და პირველივე ინსტანციაში სახელმწიფო ბაჟის გადახდაც. ბაჟი დავის საგნის ღირებულების 3%-ს წარმოადგენს.

სააღსრულებო ფურცლის გასაჩივრებისას შესაძლებელია დაწყებული სააღსრულებო წარმოების შეჩერების მოთხოვნაც.


**ნოტარიუსი გაცემს სააღსრულებო ფურცელს, თუ ამის თაობაზე არსებობს მხარეთა შეთანხმება (კონტრაქტში განერილი) და ნოტარიუსმა სანოტარო აქტში წერილობით განმარტა სააღსრულებო ფურცლის გაცემის სამართლებრივი შედეგები.**

### მიმართვა აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარეს

სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონის მიხედვით გამარტივებული წარმოების დროს, კრედიტორს შეუძლია სასამართლოს და სხვა გაჭიანურებული პროცედურების გვერდის ავლით პირდაპირ მიმართოს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარეს თანხის დაკისრების მოთხოვნით.

ამისთვის საჭიროა, რომ კრედიტორს ქონდეს დოკუმენტურად დადასტურებული მოთხოვნა მოვალის მიმართ და შეავსოს სპეციალური აპლიკაცია.

კრედიტორის (აპლიკანტის) განცხადებაზე პასუხისთვის მოვალეს აქვს **10 კალენდარული დღის ვადა დაფაროს დავალიანება ან განაცხადოს პროტესტი რომ არ ეთანხმება განცხადებას**. ასევე, შეუძლია, ნაწილობრივ ცნოს დავალიანება წერილით შესთავაზოს მორიგება და ა.შ.



**არ გაუშვათ ეს ვადა. ეს მექანიზმი საკმაოდ კარგად გამოიყენება ისეთ მსესხებლებთან, რომელთაც პასუხის გაცემა არ იცინან, ან უჭირთ.**

**იმ შემთხვევაში, თუ 10 კალენდარული დღის ვადაში არ უპასუხებთ აღსრულების ეროვნული ბიუროსთვის მიმართვის გზით წერილს, კრედიტორის მოთხოვნა სრულად დაკმაყოფილდება. ყადაღა დაედება მსესხებლის ქონებაზე.**

# აღსრულება:

## რა უნდა იცოდეთ, როდესაც აღმასრულებელი თქვენს კართანაა

### აღსრულების დანყება

აღსრულება იწყება აღსრულების ფურცლის გაცემის შემდეგ. ამ ფურცლის გაცემის წინაპირობა შეიძლება იყოს:

- ➔ სასამართლო გადაწყვეტილება,
- ➔ არბიტრაჟის გადაწყვეტილება,
- ➔ სანოტარო აქტი,
- ➔ აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის ბრძანება დავალიანების გადახდევინების შესახებ.

აღსრულებას უზრუნველყოფს ან უშუალოდ აღსრულების ეროვნული ბიუროს აღმასრულებელი ან კერძო აღმასრულებელი. ეს უკანასკნელი არ არის ეროვნული ბიუროს თანამშრომელი, თუმცა საქმიანობს მათი გაცემული ლიცენზიის საფუძველზე და ემორჩილება კანონს. პრაქტიკულად, კერძო აღმასრულებელსა და აღსრულების ეროვნული ბიუროს თანამშრომლის ქმედებებს შორის დიდი განსხვავება არ არის.

### აღსრულების პროცესი

- ➔ როდესაც გამოსცემენ სააღსრულებო ფურცელს, გამსესხებელს მიაქვს ის

აღსრულების ბიუროში/კერძო გამსესხებელთან. საქმეს მიენერება აღმასრულებელი, რომელიც უკავშირდება მსესხებელს და ცდილობს მორიგებას.

- ➔ ნებაყოფლობით შესრულებისთვის, როგორც წესი, გამოიყოფა 10 კალენდარული დღე.
- ➔ მოურიგებლობის დროს, აღმასრულებელი, იწყებს აღსრულების პროცესს.

### რა შეუძლია აღმასრულებელს?

- ➔ დაადოს ყადაღა ქონებას და გაყიდოს ის.
- ➔ ყადაღა დაადოს საბანკო ანგარიშებს, ხელფასს, პენსიას და ჩამოჭრას თანხები.
- ➔ თუ არ დაემორჩილებით, უფლება აქვს გამოიძახოს აღსრულების პოლიცია.
- ➔ სააღსრულებო მოქმედება განახორციელოს ნებისმიერ დროს, მათ შორის, არასამუშაო დროს და უქმე დღეს, თუ ეს აუცილებელია კონკრეტული სააღსრულებო წარმოების ფაქტობრივი გარემოებიდან გამომდინარე.

### აღსრულების პროცესი

- ➔ როდესაც გამოსცემენ სააღსრულებო ფურცელს, გამსესხებელს მიაქვს ის აღსრულების ბიუროში/კერძო გამსესხებელთან. საქმეს მიენერება აღმასრულებელი, რომელიც უკავშირდება მსესხებელს და ცდილობს მორიგებას.
- ➔ ნებაყოფლობით შესრულებისთვის, როგორც წესი, გამოიყოფა 10 კალენდარული დღე.
- ➔ მოურიგებლობის დროს, აღმასრულებელი, იწყებს აღსრულების პროცესს.

### რა შეუძლავ აღმასრულებელს?

- ➔ დაადოს ყადაღა ქონებას და გაყიდოს ის.
- ➔ ყადაღა დაადოს საბანკო ანგარიშებს, ხელფასს, პენსიას და ჩამოჭრას თანხები.
- ➔ თუ არ დაემორჩილებით, უფლება აქვს გამოიძახოს აღსრულების პოლიცია.
- ➔ სააღსრულებო მოქმედება განახორციელოს ნებისმიერ დროს, მათ შორის, არასამუშაო დროს და უქმე დღეს, თუ ეს აუცილებელია კონკრეტული სააღსრულებო წარმოების ფაქტობრივი გარემოებიდან გამომდინარე.

### რჩევა:

**როდესაც გრძნობთ, რომ ვალს ვერ იხდით და სვდებით, რომ საქმე მიდის აღსრულებისკენ, უმჯობესია თქვენი ქონება (უძრავი ქონება) გაყიდოთ საბაზრო ფასში, დაფაროთ დავალიანება და დარჩენილი თანხით იყიდოთ სხვა, უფრო დაბალი ფასის უძრავი ქონება.**

როდესაც  
ქონება  
დაგირეაღებათ  
და საბოლოოდ, ის  
გაიყიდება აუქციონზე,  
მისი ფასი საბაზროზე  
ბევრად დაბალი  
იქნება.

### მოვალის უფლება აქვს

- ➔ გაეცნოს სააღსრულებო მასალებს
- ➔ მიიღოს მათი ასლები
- ➔ გაასაჩივროს აღმასრულებლის უკანონო ქმედება (მაგალითად – დაგიყადაღათ ან-გარიში სრულად) 15 კალენდარულ დღეში აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარესთან.
- ➔ გაასაჩივროს აღმასრულებლის უკანონო ქმედება 1 თვის ვადაში სასამართლოში
- ➔ მოურიგდეს გამსესხებელს (კრედიტორს) აღსრულების ეტაპზე

საჩივარი აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის მიერ განიხილება 30 კალენდარული დღის ვადაში.

### განწილვალება

მნიშვნელოვანია გვახსოვდეს: აღსრულების ეროვნული ბიურო მსესხებლისთვის თანხის განწილვალებაზე (ნაწილ-ნაწილ გადახდა) გადაწყვეტილებას გამსესხებლის თანხმობის გარეშე ვერ მიიღებს, გარდა იმ შემთხვევის, როცა კრედიტორი სახელმწიფოა.

სასამართლოს, რომელმაც გამოიტანა საქმეზე გადაწყვეტილება, უფლება აქვს, მხარეთა თხოვნით, მათი ქონებრივი მდგომარეობისა და სხვა გარემოებათა გათვალისწინებით, ერთჯერადად, 3 თვემდე ვადით გადადოს ან ერთ წლამდე ვადით გადაანაწილოს გადაწყვეტილების აღსრულება (თანხის გადახდა), აგრეთვე შეცვალოს მისი აღსრულების საშუალება და წესი.

### აღსრულების გადადება

მნიშვნელოვანია გვახსოვდეს: თუ აღსრულების ადგილზე შექმნილი განსაკუთრებული ვითარების (მოვალის ან მისი ოჯახის წევრის ან მასთან მცხოვრები პირის ავადმყოფობა, გარდაცვალება

ან სხვა საგანგებო შემთხვევა) გამო შესაბამისი მოქმედების გაგრძელება არ შეესაბამება მორალის ზოგად პრინციპებსა და ნორმებს, მოვალის განცხადების საფუძველზე აღსრულების ეროვნულ ბიუროს შეუძლია:

- ➔ არა უმეტეს 6 თვის ვადით გადადოს იძულებითი აღსრულების ესა თუ ის ღონისძიება.
- ➔ აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია თავის მიერ დადგენილი ვადა ერთჯერადად გააგრძელოს კიდევ 6 თვემდე ვადით.
- ➔ თუ ვითარება შემდგომაც არ შეიცვალა, მოვალის განცხადების საფუძველზე სასამართლოს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ გააუქმოს იძულებითი აღსრულების ღონისძიება, აკრძალოს ან დროებით შეაჩეროს ესა თუ ის ღონისძიება არა უმეტეს 3 თვის ვადით.

### მოვალის საცხოვრებელ ადგილას ოჯახის სხვა წევრის ნივთზე ყადაღის დადება

ხშირია, როდესაც აღმასრულებელი აყადაღებს მოძრავ ქონებას, რომელიც მსესხებლის საკუთრება არ არის. ასეთ შემთხვევაში ნამდვილ მესაკუთრეს (მაგალითად, ოჯახის წევრს ან თანამცხოვრებს) შეუძლია სარჩელი აღძრას სასამართლოში მისი ნივთების ყადაღისგან გათავისუფლების თაობაზე. **როგორც წესი, ასეთი სარჩელი ადვილად კმაყოფილდება ხოლმე.**

მოვალე ასევე უფლებამოსილია გადაიხადოს ნივთის საბაზრო ღირებულება და ამ გზით გაათავისუფლოს ყადაღისგან კონკრეტული ნივთი. ეს უკანასკნელი ქონება აღარ დაყადაღდება.

**რეკომენდაცია:**

თუკი გრძნობთ, რომ ვერ შეძლებთ სენსის დაფარვას, ამას კი შედეგად მოჰყვება აღსრულება,

სთხოვეთ თქვენთან ერთად მცხოვრებ პირებს საკუთარი ნივთები შეიძინონ თავიანთი სახელით



(მაგალითად, მაცივარი, ტელევიზორი, კომპიუტერი და ა.შ.)

და ამავდროულად, შეინახონ შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ინვოისი, ქვითარი, გარანტია და ა.შ.).

შედეგად, მარტივად შეძლებთ აღმასრულებელს დაუმტკიცოთ, რომ ნივთები თქვენი თანამაცხოვრებლის ან ოჯახის წევრის საკუთრებაა და, შესაბამისად, არ არის მართებული მათი დაყადაღება.

**ყადაღას და იძულებით აღსრულებას არ ექვემდებარება**

- ➔ პირადი მოხმარების ან საოჯახო ნივთები, რომლებიც აუცილებელია მოვალისთვის თავისი პროფესიული საქმიანობის, ცხოვრებისა და საოჯახო მეურნეობისათვის;
- ➔ მოვალის, მისი ოჯახისა და მასთან ერთად მცხოვრები პირებისათვის ოთხი კვირის საკვები, საწვავი და სანათი საშუალებები,

ან თუ დროის ამ მონაკვეთისათვის ამგვარი მარაგი არ არსებობს და მათი შექმნა სხვა გზით არ არის შესაძლებელი, მაშინ მათ შე-საძენად საჭირო თანხა;

- ➔ ნვრილფება საქონელი შეზღუდული რაოდენობით, ასევე ერთი მეწველი ძროხა, ან მოვალის არჩევანით – ორი ღორი, ცხვარი ან თხა, თუ ისინი აუცილებელია მოვალის, მისი ოჯახის ან მასთან ერთად მცხოვრე-

ბი პირების გამოსაკვებად; ასევე სამი თვის სამყოფი პირუტყვის საკვების და ნამჯის მარაგი, ან თუ ამგვარი მარაგი არ არსებობს და მათი შექმნა ამ დროისათვის სხვა გზით არ არის უზრუნველყოფილი, მათ შესაძენად საჭირო ფულადი თანხა;

- ➔ პირებისათვის, რომლებიც სოფლის მეურნეობას მისდევენ, სამეურნეო წარმოებისათვის საჭირო ხელსაწყო-იარაღები, პირუტყვი, სასუქი და სოფლის მეურნეობის პროდუქცია, რამდენადაც ისინი საჭიროა მოვალის, მისი ოჯახის და დაქირავებული მუშების შესანახად, ან მომავალი მოსავლის აღებამდე იგივე ანდა მსგავსი პროდუქცია მეურნეობის შემდგომი წარმართვისათვის;
- ➔ პირებისათვის, რომლებიც შემოსავალს იღებენ თავიანთი ფიზიკური თუ გონებრივი შრომით ან სხვა საქმიანობით, ასეთი საქმიანობისათვის საჭირო ნივთები.
- ➔ სახელმწიფოს მიერ გაცემული მიზნობრივი

დახმარება; – მაგალითად, სოციალური დაუცველი ადამიანის ყოველთვიური დახმარება

- ➔ იმ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრის ქონება, გარდა მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენებული ქონებისა, რომლის სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებელიც საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ ზღვარზე ნაკლებია.
- ➔ საარსებო მინიმუმზე ნაკლები შემოსავალი.

**დანიშნული აუქციონი**

ჩამორთმეული ქონების გასასხვისებლად, ვალის დასაფარავად, იმართება აღსრულების ეროვნული ბიუროს აუქციონი.

მნიშვნელოვანია გვახსოვდეს: იძულებითი აუქციონის საჯაროდ გამოცხადების დღიდან დაუმკვეთელია აუქციონის (სააღსრულებო წარმოების) შეწყვეტა,<sup>1</sup> შეჩერება, გადადება და ქონების ყადაღისაგან გათავისუფლება.

**ყურადღება:**



**თუკი გერიცხებით ყოველთვიური შემოსავალი (ხელფასი ან სხვა), თქვენ მიმართ კი გაცემულია სააღსრულებო უფლები, აღმასრულებელს უფლება აქვს აღნიშნული შემოსავლიდან ჩამოგაჭრათ გარკვეული თანხა. არსებული პრაქტიკით, იჭრება ხელფასის**

**50%**

1 უიშვიათეს შემთხვევაში, ობიექტურად განსაკუთრებული გარემოებებისას, აუქციონის შეჩერება, სასამართლოს კონტროლის ქვეშ, შესაძლებელია

